სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080134572331815

 # 1603

18 / დეკემბერი / **2015** წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2015 წლის 15 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის SMP150001048 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

მომართვის მიხედვით, 2015 წლის 3 დეკემბერს შემსყიდველმა ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, განახორციელა სტიქიით დაზიანებული სოფელ ზემოფარცხმის კლუბის მიმდებარე საყრდენი კედლის აღდგენითი სამუშაოების შესყიდვა.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შესყიდვა გამოწვეული იყო გადაუდებელი აუცილებლობით, რადგან ბოლო პერიოდში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანდა სოფელ ზემოფარცხმის კლუბის მიმდებარე საყრდენი კედელი.

ამასთან, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის განმარტებით, აღნიშნული მდგომარეობა განპირობებული იყო ამინდის გაუარესებიდან გამომდინარე და შესაბამისად, მოცემული ვითარების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იქნებოდა. ასევე, როგორც მომართვიდან ირკვევა, სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო თანხები ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობისაგან გამოეყო 2015 წლის 24 ნოემბერს.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვა წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას, რადგან, როგორც მომართვაშია აღნიშნული, სტიქიის შედეგად დაზიანდა სოფელ ზემოფარცხმის კლუბის მიმდებარე საყრდენი კედელი. ამასთან, მოცემული ვითარების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო, რადგან აღნიშნული მდგომარეობა ბოლო პერიოდში მომხდარმა სტიქიურმა მოვლენებმა განაპირობა.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შესყიდვის დაყოვნებას შესაძლოა გამოეწვია არსებული მდგომარეობის გაუარესება. ამასთან, მოსალოდნელი ამინდის გაუარესება ქმნიდა შენობის ჩამონგრევის დიდ რისკს.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე